ქ. წალენჯიხა
წელი

24 მარტი 2023

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N3

2023 წლის 24 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გონერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, თემურ ქარდავა, ავთანდილ გაბელია, დავით ბელქანია. ასევე სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, მაია მიქავა, რაისა ჩანგელია, თენგიზ ფიფია.

დაწყების დრო: 12:00-სთ.
დასრულების დრო: 12:35-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
პროექტის წარმომდგენი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბერი N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტზე.
პროექტის წარმომდგენი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

3.სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობების ფაქტიურმა შემოსულებამ 21,789,92 ათასი ლარი შეადგინა. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავალზე მოდის 12,407.5 ათასი ლარი, გრანტების სახით მიღებულ შემოსავლებზე-8,565.3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებზე - 711.7 ათასი ლარი. მომხსენებელს

სხდომის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ მიმართა კითხვით, თუ რა ეტაპზეა ჯვარის საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის თემა, რაზეც უპასუხა, რომ მზად არის პროექტი და ჯვარის საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის პროექტირების თაობაზე მალე გამოცხადდება ტენდერი.

კომისიის წევრმა გონერ კვარაცხელიამ განაცხადა, რომ გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია ძალიან უხარისხოდ მიმდინარეობს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავას მიმართა, რომ გაკონტროლდეს ეს სამუშაოები, რაზეს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავამ უპასუხა, რომ კომისიას არ გააჩნია არავითარი ბერკეტი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების გასაკონტროლებლად.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით (მომხრე-5 (გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, ბესიკ ფარცვანია, ავთანდილ გაბელია, დავით ბელქანია) წინააღმდეგი-არცერთი) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბერი N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტზე.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად საქართველოს მთავრობის N147 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დაზუსტებით, ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოყოფილი თანხის ასახვის აუცილებლობით. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს წინადადებები და შენიშვნები არ ჰქონიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით (მომხრე-4 (გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, ავთანდილ გაბელია, დავით ბელქანია) წინააღმდეგი-1 (ბესიკ ფარცვანია)) სხდომის თავმჯდომარის მიერ წამოყენებული, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შენიშვნების გათვალისწინებით მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე / ბაჩანა [illegible]/